ა(ა)იპ "საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი"

საქართველო, ქ. თბილისი 0179, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 53ა, ტელ./ფაქსი 225-82-43, ს/კ 205233022, www.sangu.edu.ge

№_____ 08 03 2020 წ.

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის
დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის

ბრძანება №23

ქ. თბილისი

ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლაში საუნივერსიტეტო დაფინანსების მქონე საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტების 2020 - 2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის სწავლის გადასახადისგან გათავისუფლების და ამავე საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისთვის, რომლებმაც წინა - 2019 -2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი ვერ დაასრულეს მაღალი აკადემიური მაჩვენებლით, ან ისარგებლეს შიდა მობილობით, მიმდინარე სემესტრის სწავლის საფასურის დაკისრების შესახებ

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 15 დეკემბრის №10, 2016 წლის 15 ივლისის N14 და 5 დეკემბრის N22 ოქმების, უნივერსიტეტის დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის 2018 წლის 20 მარტის N20 ბრძანების "ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების გზით ჩარიცხულ სტუდენტთათვის სწავლის შეღავათიანი პირობების განსაზღვრის შესახებ"; ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანის ლევან ქისტაურის 2020 წლის 31 აგვისტოს N1/1295 და N1/1296 მოხსენებითი ბარათების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. განთავისუფლდნენ საუნივერსიტეტო დაფინანსების მქონე საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე თვითდაფინანსების ფარგლებში დაკისრებული სწავლის საფასურის გადახდისგან 2020- 2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ამ ბრძანების ***N1 დანართში*** მითითებული ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები,

რომლებმაც წინა - 2019 – 2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი დაასრულეს მაღალი აკადემიური მაჩვენებლით (სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად).

2. დაეკისროთ სწავლის სემესტრული საფასურის - *1125 ლარის* გადახდა 2020 - 2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ამ ბრძანების *N2 დანართში* მითითებულ ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის საუნივერსიტეტო დაფინანსების მქონე ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს, რომლებმაც წინა - 2019 – 2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი ვერ დაასრულეს მაღალი აკადემიური მაჩვენებლით (სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად), ან ისარგებლეს შიდა მობილობით.

3. ბრძანება გასაცნობად და შემდგომი რეაგირებისთვის დაეგზავნოთ: სასწავლო პროცესის რეგულირებისა და სტუდენტთა მომსახურების სამმართველოს; უნივერსიტეტის ბუღალტერიას, ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანატს.

4. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე.

5. ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე დაევალოს საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

უნივერსიტეტის დამფუძნებლის
სრულუფლებიანი წარმომადგენელი,
ბოდბელი მთავარეპისკოპოსი
იაკობი (იაკობიშვილი) + მუოგ

დანართი 1

N	გვარი	სახელი	სემესტრი	საშუალო ქულა
1	ბალანჩივაძე	თინათინ	5	74,75
2	ზაქარაშვილი	ბექა	7	98,2
3	კაპანაძე	სოფიკო	7	95,2
4	ჩივაძე	მარიამი	7	96
5	ბალაჯიშვილი	ბაჩუკი	8	93,8

დანართი 2

N	გვარი	სახელი	სემესტრი	საშუალო ქულა
1	აბუაშვილი	თეონა	5	42,6
2	ჭიღლაძე	თამუნა	5	52,4
3	გოგიტაძე	თამთა	7	70,2
4	სადაღაშვილი	თეკლა	7	50,6 (ფინანსდება სოც. როგრ.ფარგლებში)